ყველაგე საუკეთესონი — საბჭოთა პარლამენტში

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 40 (12552) | შაბათი, 16 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი ხალხის კანდიდატები

რესპუბლიკის საწარმოებში, მეურნეობებსა, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი პატიოსნებული და შრომითი აღმავლობით ეწყობა წინასაარჩევნო რეგებები.

ხალხი ერთსულოვნად ასახელებს საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს.

დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა შორის ბევრია ახალი სახელი. ეს იმას მოწმობს, რა მძლავრად იზრდებიან საბჭოთა ადამიანები, რა უსაზღვროდ მდიდარია ჩვენი ხალხი ტალანტებით სახალხო მეურნეობის, ლიტერატურის, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ეს იმას მოწმობს, თუ როგორ ათლად ხორციელდება პარტიის ენინური ლენინური ... სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი ყოველმხრივი გაფართოებისა და სრულყოფისათვის.

სწორედ ამაზე მიგვითითებს ... პროგრამა, რომელშიც ნათქვამია: საბჭოების მუშაობის გაფართოებისა და საბჭოებში ... ძალების მიზიდვისათვის, ... რომ სახელმწიფოს მართვის ... გაიაროს მშრომელთა ... მილიონებმა, მიზანშეწონილია ყოველ არჩევნებში გაახლდეს საბჭოების დეპუტატთა ... გადგენლობის სულ ცოტა ერთი ... მესამედი.

დაიწყო საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების კანდიდატთა დასახელება.

საბჭოების ადგილობრივ ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატად მშრომელები ასახელებენ წინანდელ ადამიანებს, — კოლმეურნეებს, მუშებს, ნოვატორებს, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების კანდიდატთა დასახელება გრძელდება.

ახლა მთავარია წინასაარჩევნო რეგებები მოეწყოს ორგანიზებულად, საქმიანად, მტკიცედ დავიცვათ საარჩევნო დებულების ... ...

პარტიული ცხოვრება

ტექნიკური პროგრესი გულთან ახლოს

ეკიდეულიდის პირმშოა ეს ქარხანა. იგი ერთ-ერთია იმ 3.700 მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმოდან, რომლებიც ოთხი წლის მანძილზე შეემატა ჩვენს ქვეყანას.

ამ პერიოდში თბილისის ელექტროშედუღების მოწყობილობის ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა უახლოეს კონსტრუქციათა მრავალი მანქანა და დანადგარი, რომლებსაც არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც იცნობენ. ამა რომელ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუურდება, მაგალითად, ქარხნის მიერ დამზადებული ფერადი და ძნელად დნობადი ლითონების გაზელექტრული ჭრის დანადგარი, რომელიც ათჯერ აჩქარებს ჭრის პროცესს!

და განა მარტო ეს?

თბილისის ელექტროშედუღების მოწყობილობის ქარხანა შედუღლდისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზეა. იგი პირნათლად ასრულებს სახელმწიფო დავალებას ყველა ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. ქარხნის თვითეულ საამქროში, თვითეულ უბანზე იგრძნობა ის დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, რითაც ცხოვრობს ახლა ქარხნის კოლექტივი. მან ამოცანად დაისახა გადაიტანოს შრომბლიური ქარხანა სანიმუშო საწარმოდ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში. ამ მიზნით აქ უკანასკნელ წლებში დანერგეს ბევრი ნაკადური ხაზი, ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხები, რომლებმაც ხელი შეუწყო წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას და დაიჩქარა ტექნიკური პროგრესი.

აქ ათვისეს და ამ წლიდან სერიულად გამოუშვებენ ლითონების ვაკუუმში ელექტროსხივური შედუღების დანადგარს, კიდევ უფრო გააფართოებენ ელშედუღების ნახევრადავტომატებისა და ავტომატების, აგრეთვე სხვადასხვა გარდამქმნელების დამზადებას.

ახალი ტექნიკის დანერგვის დავალებათა შესრულება აქ შრომის ნაყოფიერების ზრდის მთავარი წყაროა. მარტო შარშან ახალი ტექნიკის დანერგვით ასი ათასი მანეთი პირობითი ეკონომია იქნა გაწეული.

ქარხნის ტექნიკურ სრულყოფაში დიდ როლს ასრულებს ელექტროშედუღების შრომაბლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი, რომელიც ამ საწარმოს ბაზაზეა შექმნილი. თავისი არსებობის წლინახევრის მანძილზე ფილიალმა დაამუშავა 16 ახალი თემა, რომელთაგან ხუთმა უკვე მიიღო ცხოვრების საგზური, ექვსი კი შემოწმების გადის. აქ დააპროექტეს და დაამზადეს გაზელექტრული ჭრის დანადგარი, რომელიც სპეციალურმა კომისიამ მოიწონა. აქვე დაამზადეს ახალი ტიპის სპეციალური გარდამსახავი, რომელსაც დენის წყაროდ იყენებენ გაზელექტრული ჭრისათვის, შესადუღი ტრაქტორი „ტს-32“, ავტომატი „რ-912“. ამჟამად ფილიალი მუშაობს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს თემებზე.

ფილიალის მუშაკებს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აქვთ ქარხნის კოლექტივთან. მეცნიერ მუშაკთა უშუალო მონაწილეობით დგება ელექტროშედუღების მოწყობილობის ქარხნის ტექნიკური დოკუმენტაციები, ეწყობა აგრეგატთა ტიპიური გამოცდები. ისინი ეხმარებიან ქარხნის მუშებს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ტექნიკა წინ მიდის, ცხოვრება შინაარსით მდიდრდება, — გვეუბნება ფილიალის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში გ. ღუდუნიშვილი. — ჩვენი ვალია არათუ არ ჩამოვრჩეთ წარმოებას, არამედ რამდენიმე წლით მაინც ვუსწრებდეთ მას. სწორედ ამ თვალთახედვით არის აგებული ფილიალის 1963 წლის თემატური პერსპექტიული გეგმა. ვცდილობთ მუშაობაში დაენერგოთ ყოველივე ახალი და პროგრესული. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი მჭიდრო კონტაქტები ქვეყნის ელშედუღების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, განსაკუთრებით კიევის ინსტიტუტთან, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ საქმის დიდი სპეციალისტი ბ. პატონი, აგრეთვე ჩვენი მუშაკების სპეციალური მივლინებები და მეგობარ მეცნიერთა სასასუხო ვიზიტები.

საწარმოს კოლექტივისა და ფილიალის მეცნიერ მუშაკთა ყველა მიღწევა დიდი წარმადობის და ეკონომიური მანქანების შექმნაში განუყრელად დაკავშირებულია იმ ადამიანთა შემოქმედებითის მუშაობასა და ინიციატივასთან, რომლებიც თანამედროვე ტექნიკას ქმნიან.

წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან კომუნისტები. კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ი. ძიძიგაშვილი ხელმძღვანელობს, ბევრი კორეკტივი შეიტანა ახალი ტექნიკის გამოყენების ეფექტურობის საკითხებში.

ქარხანაში კომუნისტ ვ. ტოლსტიხს იცნობენ როგორც საუკეთესო მღარავსა და კარგ რაციონალიზატორს. მას ეკუთვნის არა ერთი წინადადება, რომელთაგან ყველაზე საყურადღებოა უკანასკნელი— ერთდროულად თერმეტი საღარავი საჭრისის გამოყენება. ამან 11-ჯერ გაადიდა შრომის ნაყოფიერება და დაზოგა დიდძალი დრო. კომუნისტმა გ. აიაზიანმა შეიმუშავა სამაგრი სოლის დამზადების ახალი ტექნოლოგია, რომელმაც წარმოებას დიდი ეკონომია მისცა.

ყველა რაციონალიზატორის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

შვიდწლედის პირმშოს ტექნიკურ პროგრესში დიდ როლს ასრულებს ქარხნის მთავარი მექანიკოსის განყოფილება. სწორედ ეს ჭრნდა მხედველობაში პარტიკომი, რომელმაც განიხილა შეესწავლა და პარტიულ კრებაზე განეხილა ამ განყოფილების მუშაობის საკითხი. პარტიკომის დავალებით გამოყოფილ კომუნისტთა ჯგუფი დიდხანს სწავლობდა განყოფილების მუშაობას, ამოწმებდა საამქროებში რემონტის ჩატარებისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დანერგვის მდგომარეობას, ეცნობოდა ახალაშენებულ საამქროებში ჩარხ-დანადგარების მონტაჟის მიმდინარეობას. კომუნისტთა ჯგუფს ქარხნის მთავარი მექანიკოსის განყოფილების მუშაობის შესწავლასა და პარტიული კრებისათვის საკითხის მომზადებაში ეხმარებოდა ბევრი კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი. კარგად მომზადებულმა საკითხმა პარტიულ კრებაზე აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. ორატორები ერთხმად აღნიშნავდნენ ამ განყოფილების არცთუ ცუდ მუშაობას, მაგრამ ამასთანავე მიუთითებდნენ ჩრდილოვან მხარეებზე (გრაფიკის დარღვევის, მონტაჟის გაჭიანურების, სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების ცალკეული შემთხვევები).

კომუნისტთა საყურადღებო შენიშვნებმა და წინადადებებმა თავისი ასახვა ჰპოვა კრების დადგენილებაში, რომლის განხორციელებაზე პარტიულმა ბიურომ მუდმივი კონტროლი დაიწესა და ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა გაჩაღა.

ახლის გრძნობა, რეზერვების გამონახვის უნარი კომუნისტის საუკეთესო თვისებებია. ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ს. დარჩიაშვილმა ერთი ასეთი შემთხვევა გიამბეთ. ამ რამდენიმე თვის წინათ დაგვიანდა საწარმოსათვის ავტომატვირთავის ცენტრალიზებული მიწოდება. სამე რომ არ შეფერხებულიყო, კომუნისტთა წინადადებით ადგილზე დაამზადეს ორიგინალური მოწყობილობა, რომელმაც შეცვალა ავტომატვირთავი.

პარტბიუროს სხდომებზე პერიოდულად ისმენენ ქარხნის საამქროთა უფროსების ინფორმაციებს. კომუნისტების აზრთა გაცვლა-გამოცვლა აქაც ძირითადად ეხება მთავარ მიმართულებას — ტექნიკურ პროგრესს. ისინი მოურიდებლად აკრიტიკებენ განურჩეველად ყველას, ვინც გულცივია ახლისადმი.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია დირექციასთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გარკვეულ მუშაობას ეწევა წარმოების ახალგაზრდა მუშაკთა (რომლებიც აქ უმეტესობას შეადგენენ) აღსაზრდელად და დასოსტატებლად. ბევრმა მათგანმა პრაქტიკული წრთობა მიიღო და იღებს ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოებში. ახალგაზრდა ინჟინრებსა და ტექნიკოსებს საშუალება აქვთ აიმაღლონ კვალიფიკაცია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, სპეციალურ კურსებზე.

ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას თავიანთ საუბრებში აგიტატორები, რომელთა რიცხვი სამ ათეულს აღწევს. აგიტატორთა დიდი ნაწილი უშუალოდ წარმოების მუშაკია. ცხოვრების შუაგულში, ყოფნა და საკითხების ღრმა ცოდნა მათ საშუალებას აძლევს ცოცხლად, საინტერესოდ ადგონ ყოველი საუბარი, დაუკავშირონ იგი ქარხნის კონკრეტულ ამოცანებს.

თბილისის ელექტროშედუღების მოწყობილობის ქარხანამ აიღო შვიდწლედის მეოთხე წლის ყველა მიჯნა და რწმენით შეუდგა ახალი სამეურნეო წლის ამოცანების შესრულებას. 1963 წელი ბევრ რამეს ჰპირდება ქარხანას და მის კოლექტივს. უწინარეს ყოვლისა თითქმის ერთიორად გაიზრდება ქარხნის პროდუქცია 1962 წელთან შედარებით, თუ უფრო შორს გავიხედავთ, მაშინ 1965 წლისათვის ეს ზრდა 7-ჯერ მეტი იქნება. ხუთჯერ გაფართოვდება პროდუქციის ნომენკლატურა.

ახალი საწარმოო პროგრამის შესრულებას ხელს შეუწყობს ქარხნის საწარმოო ფართობების ზრდა და რეკონსტრუქცია, რაც ამჟამად წარმოებს და შემდგომშიც გაგრძელდება. მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 13 ათასი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ახალგაზრდა ქარხანას მუშაობაში სიძნელეებიც აქვს. არცთუ იშვიათად ირღვევა ქარხნის მუშაობის რიტმი საჭირო მასალებისა და დასაკომპლექტებელი ნაწარმის არადროული მიღების გამო. ეს იწვევს იერიშობანას, განსაკუთრებით თვის მესამე ათდღიურში, რაც თავის მხრივ დაღს ასვამს ქარხნის ყველა ეკონომიურ მაჩვენებელს.

ჯერ კიდევ ყველაფერი არ კეთდება რაციონალიზატორთა მოძრაობის განსავითარებლად. 1962 წელს ქარხნის 72 რაციონალიზატორმა შეიტანა 210 წინადადება, რომელთაგან მიღებულ იქნა 156, ხოლო დაინერგა — 80. ამ გზით მიღებულმა წლიურმა პირობითმა ეკონომიამ 30 ათასი მანეთი შეადგინა.

წარმოებისათვის ცოტა როდია ეს თანხა, მაგრამ იგი გაორკეცდებოდა, სხვა 76 წინადადებაც რომ დაენერგათ. რაშია საქმე, რა არის ამის მიზეზი? საქმე ის არის, რომ აქამდე ეს უბანი, ასე ვთქვათ, თვიღინებაზე იყო მიშვებული. არ არსებობდა სპეციალური ჯგუფი, რომელიც მუშებს უხელმძღვანელებდა და დაეხმარებოდა თავიანთ რაციონალიზატორულ წინადადებათა ტექნიკურ დასაბუთებასა და დანერგვაში. ახალი წლიდან ამ საქმეში ერთგვარი წესრიგი დამყარდა. შეიქმნა ასეთი ჯგუფი, დაწესდა გარკვეული დღეები წინადადებათა გარჩევისათვის.

ზოგიერთი ნაკლია ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეშიც. წარმოების მთელ რიგ უბნებზე არ არის ნაკადური ხაზები, რის გამო ზოგან ჯერ კიდევ დიდია ხელით შრომის როლი. ხელით წარმოებს, მაგალითად, გენერატორის აღგზნების კოჭების დახვევა, შემდუღებელი გენერატორის ღუზის კოჭების დამზადება, შემაერთებელი კაბელების ბოლოების გასუფთავება და სხვ., რაც აქამდე შეიძლებოდა მექანიზებული გაეხადათ, მეტი დაინტერესება და მონდომება რომ გამოეჩინათ. ქარხანაში ახალი წლიდან უნდა დაენერგათ ვარდამქმნელის აწყობა კონვეიერული სისტემით, რაც წარმოების დიდ ეკონომიურ ეფექტს მისცემდა, მაგრამ ეს განზრახვა დღემდე არ არის განხორციელებული. საწარმოში აქამდე არ შეუქმნიათ ახალი ტექნიკის დანერგვისადმი პარტიული კონტროლის კომისია. სუსტად არის დაყენებული ტექნიკური პროგრესის პროპაგანდა თვალსაჩინო საშუალებებით.

— ყველა ეს ნაკლი, რაზეც კომუნისტები მთელი პრინციპულობით ლაპარაკობდნენ პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, — განაცხადა ქარხნის დირექტორმა ო. მოსიაშვილმა, — გზადაგზა სწორდება. ახლა საწარმოს მთელი კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მძლავრი ზეიმქმედებით იღვწის და ცხოვრობს. მშრომელები კისრულობენ ახალ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს, შეაკვთ საქმიანი წინადადებები, რომლებიც მიმართულია სპეციალიზაციის სრულყოფისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისაკენ. ღრმად გეწამს, რომ ყველა სიძნელე უკან დაიხევს, თუ საქმეს კვლავაც ერთიანი ძალით შევუტევთ.

ჩვენს ეპოქაში მომავალი ელექტროშედუღების ეკუთვნის. პროგრესული ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, რომლებიც მუშების, ინჟინრების, მეცნიერების შემოქმედებითი შრომითა და დაუცხრომელი ძიებით იბადება, სწრაფად მზარდი სოციალისტური ეკონომიკის ძლავრი ფრთებია. ისინი ქმნიან უფრო ნაყოფიერი შრომის, შინაგანი რეზერვების მობილიზაციისა და სწორი გამოყენების საფუძველს.

სწორედ ამიტომ არის საჭირო უფრო თავდადებული ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის.

გ. ზუკაკიშვილი.

ასე იგრძლება ტექნიკური აზრი

გასულ წელს პლასტმასის ქარხნის რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიურომ მიიღო 150-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება. მათი უმეტესობა დაინერგა, რამაც 41 ათასი მანეთის ეკონომია მისცა ქარხანას.

დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებებიდან უფრო მეტად ნაყოფიერია ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის ინჟინერ ნოდარ ჭეიშვილის წინადადება — ბიდრავლიკური წნების უკონტაქტოდ მართვის შესახებ, რის შედეგადაც სატვიფრ სამუშაოებზე საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ჭეიშვილი, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ბიუროს ინჟინერი ლ. გაბრიჩიძე და რაციონალიზატორი შ. ფანცულაია.

ფოტო ს. თბილელისა.

ეს ემსახურება ადამიანის სიკეთეს

ბევრი რამ უნახავს ძველ ჯვარს 14 საუკუნის მანძილზე. უნახავს საქართველოს სამეფოს აყვავების პერიოდები, უცხოელ მტაცებელთა გამაპარტახებელი შემოსევანი, ფერფლად და ნანგრევებად რომ აქცევდნენ გარეშემო სოფლებს. თითქოს ძილში მოუსმენია შორეული ჩრდილოეთიდან ჯოტის სიტყვები, პოემა „მწირში“ მეამბოხე გმირის რომ უმღერდა. ახალი შუქით აციმციმდა, როცა შორს დაბლა, იქ, სადაც „ორ დასავით გადახვეულნი ხმაურობენ არაგვისა და მტკვრის ტალღები“, ალნთო ამიერკავკასიაში პირველი ელექტროსადგურის სინათლე. და აი კვლავ...

მონასტრის ხავსმოდებულ ქვებს ლაპარაკი რომ შეეძლოთ, იტყოდნენ, „რა მოუსვენარი არიან ეს საბჭოთა ადამიანებიო“...

მაღალ მთას იქით, სადაც ივერიის ძველი დედაქალაქის მცხეთის პირდაპირ აღმართულია ქართული ხუროთმოძღვრების უძვირფასესი ძეგლის პარმონიული არქიტექტურული ფორმები, აბრდღვინდნენ ბულდოზერები, ტრასა დადეს მძლავრმა ავტომანქანებმა, ამუშავდნენ მრავალტონიანი მილჩამწყობები. და აი საუკუნეთა განმავლობაში ხელუხლებელ ფერდობებზე ჩაწყო ფოლადის მილების სექციები. მოუსვენარი არაგვის სათავეებიდან ისინი მთა-გორებზე მიგეელ-მოხვეულად თბილისისაკენ გამოემართნენ. ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის ბოლო უბანი საქართველოს დედაქალაქთან მოვიდა.

720 მილიმეტრ დიამეტრიანი მილების 207 კილომეტრი ფოლადის ძაფი მოადგა მომავალ გაზგანმანაწილებელ სადგურს. აქედან გაყვანილი იქნება: 22-კილომეტრიანი გაზსადენი გარდაბანში, იმ უბანზე, სადაც თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური შენდება, და შვიდკილომეტრიანი განშტოება მოქმედი სადგურისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქს ყარადაღიდან მოსული ცისფერი სათბობით.

უზარმაზარ მანძილზე, მსოფლიოში ცნობილი ტრანსკავკასიონის მაგისტრალის მთებსა და ხეობებში ფართო ფრონტით წარმოებს მუშაობა უნიკალური მაღალმთიანი გაზსადენის ასაგებად. მშენებლებს ვერც წვიმები აშინებს, ვერც თოვა და ზვავები. მათ უკვე გაიყვანეს ფოლადის ტრასა ყველაზე მაღალ 22-კილომეტრიან უბანზე — ჯვარის უღელტეხილზე, ზღვის დონიდან 2.490 მეტრ სიმაღლეზე. ათობით კილომეტრი გაიყვანეს ძნელად მისადგომ რაიონებში. ახლა კი აერთებენ ჯავის ცალკეულ რგოლებს.

„არარეალური ამოცანა“ უწოდა ტრანსკავკასიონის გაზსადენის გაყვანის ცდას გაზის მაგისტრალების მშენებელმა ზოგიერთმა ამერიკელმა სპეციალისტმა, რომლებსაც, უნდა ითქვას. მცირე გამოცდილება ოდენ აქვთ შეძენილი ამ დარგში. ეს სკეპტიკური აზრი რომ შეიტყვეს, სსრ კავშირის „გლავგაზის“ მუშაკებს გაეღიმათ, თუმცა...

თუმცა ორჯონიკიძესა და თბილისს შორის მაგისტრალური მილსადენის გაყვანად საჭიროა მაღალი მთების ურთულეს პირობებში ასეთ სამუშაოთა შესრულება: უზრუნველყოფილ უნდა იქნას ისეთი პირობები, რომ გაზსადენის ტრასა საიმედოდ იყოს დაცული 327 ადგილას, სადაც იგი გადაკვეთს მთის ბობოქარ მდინარეებს და მოულოდნელ სელურ ღვარებს, რომ 67 ადგილას ტრასამ დაუზიანებლად გაიაროს გზატკეცილის ლიანდაგქვეშ და 40-ჯერ გადაკვეთოს აქ გაყვანილი კავშირგაბმულობის კაბელი. მხედველობაში მისაღებია რელიეფიც, რომელიც მრავალკილომეტრიან ფოლადის მილს აიძულებს ხან ღრმად შეეჭრას კლდოვანი ქანების წიაღში, ხან უცნაურად იკლაკნებოდეს ადგილმდებარეობის აბრისის მიხედვით. საკმარისია ითქვას, რომ ორჯონიკიძის მისადგომებზე გაზსადენი 18 კილომეტრ მანძილზე ქმნის, როგორც აქ უწოდეს, მთის ხერხს, ხან ადმ. მწვერვალებისაკენ ადის, ხან დაბლა ეშვება 65-70 გრადუსი კუთხით. ფაანარის ახლოს სოფელ ქვეშეთთან მილსადენი მაღალი მთიდან თითქმის ვერტიკალურად ეშვება 75 გრადუსი კუთხით და იქვე ხიმინჯებზე გადაკვეთს ბობოქარ არაგვს, რომ ციცაბო ფერდობზე გამოღმა გადმოვიდეს. ორჯონიკიძე-თბილისის ტრასა გადის დაახლოებით ორმეტრიანი დიამეტრის ექვს გვირაბს, მათგან ყველაზე დიდი 609 მეტრი სიგრძისაა და ორჯონიკიძიდან 47 კილომეტრზეა. აქვე უნდა ითქვას, რომ გაზსადენის გაყვანა გვირაბებზე, როცა ფოლადის მილებს ტრანშეაში კი არ აწყობენ, არამედ სპეციალურ მოწყობილობათა საშუალებით შეჰყავთ გვირაბში, პირველად ხორციელდება სსრ კავშირის „გლავგაზის“ პრაქტიკაში.

ამას დავუმატოთ თერგისა და არაგვის ნაპირების გამაგრების სამუშაოები, რომელთა საერთო მოცულობა 63 ათასი კუბური მეტრ ბეტონს შეადგენს, ხაზის მერემონტეთა რამდენიმე ათეული სახლის, ორჯონიკიძეში , სიონში, ქვეშეთში, საგურამოში რაიონული საექსპლოატაციო პუნქტების მშენებლობა. მაშინ გასაკვირი გახდება კავკასიონის მთავარი ქედის გადამკვეთ ხეობებში სამშენებლო სამუშაოთა უდიდესი გაქანება.

დიე მხრები აიჩეჩონ ოკეანესგაღმელმა სკეპტიკოსებმა, მაგრამ ტრასა უკვე ცოცხლობს, მისი მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. მილსადენის 150 კილომეტრი უკვე შედუღებულია ერთ ძაფად, იზოლირებულია ამ ძაფის 108 კილომეტრი, 178 კილომეტრზე მზად არის ტრანშეები, სადაც ჩაწყობილია და იწყობა მილები 2.400 გრძივი მეტრი გვირაბებიდან, 1.800 მეტრი მზად არის თავის წიაღში მიიღოს ფოლადის მილები.

ყოველივე ეს გაკეთდა უმოკლეს ვადებში, რომლებიც დიდად უსწრებს გეგმით გათვალისწინებულს. ეს გააკეთეს საბჭოთა ადამიანებმა.

ჩავსხდეთ, მკითხველო, ავტომანქანაში და გავიცნოთ ეს ადამიანები.

მდუმარე და მკაცრია ზამთარში კავკასიონის ქედის მწვერვალები. მხოლოდ იშვიათად ჩნდებიან დიდ სიმაღლეებზე თოვლის ვერცხლისფერი ღრუბლები. დაბლა რომ ეშვებიან, სწრაფად იზრდებიან, მუქდებიან, მრავალტონიან ზვავებად ეცემიან ავტომაგისტრალის ხვეულებს. გზაზე მიმოქრიან სატვირთო ავტომანქანები, რომლებსაც კაბინაზე აწერია „სსრ კავშირის გლავგაზი“. ზოგს ტვირთები და მექანიზმები გადაეკვეს, ზოგს ერთმანეთთან შედუღებული მილების უზარმაზარი, ოცდაათმეტრიანი სექციები. საქმიანად გუგუნებენ ბულდოზერები, გაყინულ გამაგრებულ გრუნტს ღრღნიან ათობით ექსკავატორები. ტრასაზე სიცოცხლე ჩქეფს.

ზურაბ ქანთარია მხარეზეიანი, საშუალოზე მაღალი ტანის ვაჟკაცია. ადგილზე მისი ნახვა ძალიან ძნელია, თანაც მისი ადგილი ას კილომეტრზე მეტ სიგრძეზეა გადაჭიმული — თბილისიდან შორს ფასანაურს იქით.

ქანთარია მიწის ამოღების სწორედ იმ უბნის სამუშაოთა მწარმოებელია, სადაც გაზსადენის მილები უნდა ჩაწყოს. ტრანშეის, მიწის ამოღების, ავტოქანების სამუშაოები — ყოველივე ამას ასრულებენ მიწის მთხრელები მხითარიანმა და სხვებმა ახალი, ალბათ მსოფლიო პრაქტიკაში უცნობი მეთოდი გამოიყენეს. თითქმის შეეულ დაქანებაზე გაუშვეს ექსკავატორი — დიდი სიმძლავრის მიწასათხრელი მანქანა, აგრეგატი, რომელზე მომუშავეც თითქმის დაკიდებული იყო, ბოდიდან ძირს რომ არ გადაჩეხილიყო, ზემოთ დაყენეს ოთხი საიმედო „ღუზა“ ოთხი ექსკავატორისაგან, რომლებსაც გვარლებით ეჭირათ მომუშავე მანქანა. სამუშაო მოკლე ვადაში შესრულდა, ბარი, ხელის შრომა საჭირო არ გახდა.

ტრასის ამ საინჟინრო „ნაგებობათა მშენებლობის უბნის უფროსს — „საქშასტმშენის“ წარმომადგენელს პავლე კიკალეიშვილს შეუძლია ბევრი რამ საინტერესო გვიამბოს გვირაბების გამყვანთა პრაქტიკიდან. აქ, კავკასიონის ქედის მთებში, გვირაბების გაყვანა განსაკუთრებით რთულ პირობებში ხდება. მაგალითად, სოფელ ღარსის რაიონში № 2 გვირაბის გაყვანისას მშენებლები წაადგნენ ქანის არამდგეგ სხეულს, რომელიც ტექტონიკურ ცვლილებებს შეუქმნია. ცოტა შრომა კი არ დასჭირდათ, რომ თავიდან აეცილებინათ შესაძლო ჩამოშვავებანი. მაგრამ ზუსტად დაიცვეს გვირაბის გაყვანის გრაფიკი. სოფელ ზემო ლარსის ახლოს № 4 და № 5 გვირაბგამყვანები შეხვდნენ ამის საწინააღმდეგო მოვლენას — განსაკუთრებით მაგარ გრანიტებს. ამ სიძნელის წინაშეც არ დაუყრიათ ფარხმალი. ბრიგადირ ყაზბეგ ხარებოვის ხელმძღვანელობით გვირაბგამყვანებმა ალექსი გიკაევმა, მიხეილ ქავთარაძემ, ინდიკო მეძველიამ, ნიკოლოზ ივანცოვმა და სხვებმა სანგრევის ღრმად შემობურღვის მეთოდი გამოიყენეს. ჩვეულებრივი სიღრმე იმ შპურის შეღწევისა, რომელშიც ფეთქებად ნივთიერებას დებენ, რაც ერთ მეტრს უდრის, მათ მეტრნახევრამდე აიყვანეს. ამან შესაძლებელი გახადა მაგარი ქანების უფრო ადვილად დაძლევა და გაყვანის წარმოება ზუსტად გრაფიკის მიხედვით.

გაზსადენის მშენებლობის წინა ხაზზე დღეს მემონტაჟეები გამოვიდნენ. მათთვის ყველაფერი მზად არის — გაიმართა „თარობა“, რომლებზეც მილები ეწყობა, მთავრდება გვირაბების გაყვანა, უზრუნველყოფილია მისასვლელები ყველაზე ძნელმისაწვდომ ადგილებთან. მილების შედუღება, მათი იზოლაცია შესაძლო კოროზიულ დაზიანებათაგან, ჩაწყობა — ყოველივე ეს მემონტაჟეთა ხელთ არის. და ამ ამოცანას ისინი, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ჩინებულად ართმევენ თავს.

ისტორიული ანანურის ახლოს № 12 შესადუღებელ-სამონტაჟო უბნის მთავარი ბაზაა. აქ მიტანილ მილებს სპეციალურ სტენდებზე ერთმანეთთან ადუღებენ. იქმნება 30 მეტრზე მეტი სიგრძის რგოლები. სპეციალური სამარაგვეებით აღჭურვილ მანქანებს ეს რგოლები ჩაწყობის ადგილებზე მიაქვთ და აქ მათ მიადუღებენ სხვებს, რომლებიც უკვე გამზადებულია ტრანშეებში ჩასამაგრებლად. შედუღების ეს სახე ყველაზე რთულია.

ემონტაჟეებმა უკვე დიდი ხანია იციან, რომ სადაც პავლე ლეკალინის ავიერი აშიზმინის ბრიგადამ იმუშავა, ვერც მაგნიტოგრავიით და ვერც უმოსოდ ვერავითარ დეფექტს ვერ იპოვნი. ისინი შედუღების მხოლოდ საუკეთესო ხარისხს იძლევიან.

არაფერი არ გვიოქვამს ავტომანქანების მძღოლებზე. ისინი კი იმის ღირსი არიან, რომ ტრანსკავკასიონის გაზსადენის მშენებლობის მატიანეში საუკეთესო ფურცლები დაეთმოთ. ნისლში, ქარბუქში, ღამით, როცა რთული სამთო ტრასა თითქოს წყდება მანქანის წინა თვლების წინ, მათ ზუსტად გრაფიკის მიხედვით მიაქვთ სამუშაო ადგილებზე მრავალტონიანი მილები. აი, მაგალითად, ვლადიმერ პოღოსიანი. თავისი მილსაზიდით იგი 70 კილომეტრზე მეტ მანძილზე ეზიდება 3-5 მილს, რომლებიც უბანზე მიაქვს. ამასთან დღეში 2-3 რეისს აკეთებს და ამრიგად 280-420 კილომეტრს გადის. განა ეს შრომითი გმირობა არ არის? დღეს შეიძლება დაკავსახლოთ სატრაქტორო ამწეს შესანიშნავი მემანქანე ნიკოლოზ ჭუკოვიც, რომელიც უზრუნველყოფს მილების დროზე მიღებას და ტრასაზე დაწყობას. მასთან ერთად მუშაობს ნიკოლოზ კარმაზაშვილიც. დღეს კი უბნის ერთ-ერთ საუკეთესო მეტაკელაჟედ ითვლება.

შორს არ არის ის დღე, როცა თბილისში აინთება შორეული სტავროპოლის მხარიდან საქართველოში მოსული გაზის ტრადიციული ცისფერი ჩირაღდანი. მშენებლებმა ჯერ კიდევ არ იციან, სად აინთება იგი.

ნ. არხოვი.

თბილისი-ორჯონიკიძე-თბილისი.

სკოლა და ცხოვრება



ახლა თითქმის ყველგან რესპუბლიკის საწარმოებში — ფაბრიკებსა და ქარხნებში, ახალშენებლობებზე შეხვდებით ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებიც უფროსებთან ერთად უშუალოდ დაზგებთან, ჩარხებთან, ხარაჩოებზე ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს, ეუფლებიან მათთვის საინტერესო სპეციალობებს. ბევრი მათგანი საშუალო სკოლის სრული კურსის დამთავრების შემდეგ სწორედ აქ ირჩევს საბოლოოდ ამა თუ იმ სპეციალობას.

მონდომებით გადიან საწარმოო სწავლებას ქუთაისელი მოსწავლეებიც ამ ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში. აი მათგან ორი — ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები ნ. ყიფიანი და ხ. ეფრემაშვილი მაუდის ფაბრიკაში, ხართავ დაზგასთან.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ხელმარჯვე ოსტატები

ცხაკაია. (საკ. კორ.). მთის კობწია სოფელია მუხური, რომელსაც კიდევ უფრო ლამაზსა და მომხიბველს ხდის საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა.

ამ შენობაში დიდი და სისხლსავსე ცხოვრებაა. 480-ზე მეტი მოსწავლე სწავლასთან წარმატებით ათავსებს საწარმოო შრომას. ნამდვილი ხელმარჯვე ოსტატები გეგონებათ მოსწავლეები, როცა მათ სკოლის სახელოსნოში ნახავთ. მათი ნახელავი სკოლასაც დაეტყო — ეს ყველაზე უფრო მეათე კლასში იგრძნობა, სადაც მოსწავლეთა მიერ დამზადებული მერხები დგას. მალე ძველი მერხები შეიცვლება ახლებით, ისე, რომ საჭირო არ იქნება ზედმეტი ხარჯების გაღება.

ხელოსნებს არც მოსწავლე მეჩაიეები ჩამორჩებიან, მარტო გასულ წელს სკოლის ნაკვეთზე 2 ათასი მანეთის ჩაი მოიკრიფა, რაც ასევე სკოლის კეთილდღეობას მოხმარდა. მუხურელმა მოსწავლეებმა ჩაის საზამთრო სამუშაოები დროულად დამთავრეს — გადაბარეს, მინერალური და ორგანული სასუქები შეიტანეს და მალე გასხლავენ.

მუხურში და საერთოდ მთიანი სამეგრელოს სოფლებში მეფუტკრეობის კარგი ტრადიციებია — მოსწავლეები ამ შესანიშნავი ტრადიციის კარგი განმგრძობნი არიან.

ნორჩები ამავე სკოლაში სწავლობენ ვაზის მოვლა-გაშენებას. სკოლის საცდელ ნაკვეთზე 1.500 ძირი ცოლიკოურის ჯიშის ვაზი აქვთ გაშენებული.

მოსწავლეთა ძალებით შესრულდა სკოლის რემონტის, სახელოსნოს გაფართოებისა და ბუფეტის მშენებლობის სამუშაოები.

მომავალი ინჟინრებისათვის

ჭიათურაში არსებობს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგად-ტექნიკური დაუსწრებელი ფაკულტეტის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი. აქ მოსწავლე 700-მდე სტუდენტი — მუშა და მოსამსახურე—10 სხვადასხვა სპეციალობას ეუფლება. ესენი მომავალი ინჟინრები არიან.

ჭიათურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში ძირითადად სწავლობენ ჭიათურის, საჩხერის და მახლობელი სოფლების მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდები. დაუსწრებელ სტუდენტთა უმრავლესობა მუშაობს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სისტემაში მყოფ მაღაროთა სამმართველოებსა და დამხმარე საწარმოებში, სამშენებლო სამმართველოებში, ქალაქ ჭიათურის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში.

თუმცა ჭიათურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქ

მჯერცია ჩვენი მეგობრობა

ლაოსის ელჩმა სსრ კავშირში კამპანბენ თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები ბ. ი. პონომარევი, ფ. რ. კოზლოვი, დ. ს. პოლიანსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ტ. კულატოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. რუდნევი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. გ. იგნატოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, ვ. პ. ელიუტინი, ს. ვ. კუზნეცოვი, რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ე. სემიჩასტნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ლაოსში ს. ა. აფანასიევი, საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ი. კრილოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ვ. კალაშნიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო პრობლემათა მიმართ საერთოდ და ლაოსის მიმართ კერძოდ.

თქვენი სიტყვები ჩვენს გონებაში.

თქვენს მიერ ლაოსის მიმართ გამოთქმული მეგობრობისა და სიმპათიის გრძნობები უაღრესად გვსიამოვნებს.

დასასრულ ლაოსის მეფემ წარმოთქვა ლ. ი. ბრეჟნევისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სადღეგრძელოები.

შემდეგ გამოვიდა ლ. ი. ბრეჟნევი. მან მადლობა გადაიხადა კეთილი სიტყვებისათვის.

ჩვენი მეგობრობა მტკიცეა, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, მას ბევრი ფესვი აქვს, უწინარეს ყოვლისა კი ის, რომ ჩვენს სახელმწიფოებს სურთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

ლაოსის ნეიტრალიტეტის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება, ეენევის თათბირზე შემუშავებულ გადწყვეტილებათა განხორციელება, განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა, კარგი წვლილი იქნება მშვიდობის განმტკიცებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჯერ კიდევ არსებული დაძაბულობის აღმოფხვრის საქმეში.

ლაოსის სამეფომ უკვე გადადგა მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯები ყველა ხახელმწიფოსთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. წარმატებებს ვუსურვებთ მას ამ გზაზე. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ლაოსის ხალხსა და მის ხელმძღვანელებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავაც მტკიცედ დაუმეგობრს მხარს ლაოსის სამართლიან მისწრაფებას ეროვნული დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისადმი.

წარმატებებს ვუსურვებთ ეროვნული ერთიანობის მთავრობას, რომელსაც მისი უმაღლესობა პრემიერ-მინისტრი სუვანა ფუმა მეთაურობს, თავისი პროგრამის განხორციელებაში, კეთილდღეობასა და აყვავებას ვუსურვებთ ლაოსის ხალხს.

ნება მიბოძეთ, თქვენო უდიდებულესობავ, გამოვთქვა რწმენა, რომ თქვენი ვიზიტი საბჭოთა კავშირში გამოიწვევს ჩვენი ქვეყნების კიდევ უფრო მეტ ურთიერთგაგებას და ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ლაოსის ხალხთა მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა ლაოსის მეფის, პრემიერ-მინისტრისა და ყველა ლაოსელი მეგობრის საბჭოთა კავშირლაოსის მეგობრობის განმტკიცებისა და აყვავების სადღეგრძელოები.

საუზმემ გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

14 თებერვალს საღამოს ლაოსის მეფემ შრი სავანგ ვათჰანამ, პრემიერ-მინისტრმა პრინცმა სუვანა ფუმამ და ლაოსის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომელნიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ მეფესთან ერთად, აგრეთვე ლაოსის ელჩმა სსრ კავშირში კამპანბენ პანიამ კრემლის ყრილობათა სასახლეში ნახეს პ. ი. ჩაიკოვსკის ბალეტი „გედის ტბა“.

საპატიო სტუმრებთან ერთად ლაოსისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ლოჟაში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოადგილე ნ. ს. ფირიუბინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ვ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ლაოსში ს. ა. აფანასიევი.

სპექტაკლის შემდეგ ლაოსის მეფე შრი სავანგ ვათჰანა, პრემიერ-მინისტრი სუვანა ფუმა და ლაოსის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა გადავიდნენ კულისებში, სადაც მეგობრულად ესაუბრნენ მასპინძებს. მეფემ აღნიშნა, რომ მისთვის დიდი ბედნიერება იყო ეესახა საბჭოთა ბალეტის ტალანტები. (საკდესი).

მოსკოვი, 14 თებერვალი. (საკდესი). ლაოსის მეფემ შრი სავანგ ვათჰანამ, პრემიერ-მინისტრმა სუვანა ფუმამ და ლაოსის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა დღეს დათვალიერეს ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეა.

გალერეის მუშაკებმა გააცნეს სტუმრებს რუსული ხელოვნების საგანძურის ისტორია.

ლაოსის მეფემ და მისმა თანამგზავრებმა დათვალიერეს გალერეის ზოგიერთი განყოფილებანი. მათ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს პ. ფედოტოვის, ა. ივანოვის, ი. რეპინის, ი. შიშკინის სურათებისადმი, ვ. ვერეშჩაგინის ინდური ეტიუდებისადმი, ანდრია რუბლიოვის „სამების“ ხატისადმი, XX საუკუნის დამდეგის მთელი რიგი ნაწარმოებებისა და საბჭოთა მხატვრების სურათებისადმი.

ჰუმანური ინიციატივა

საერთაშორისო ფედერაციული ცხოვრება

ჟენევა, 15 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტები გ. დრაგუნოვი და ი. მალიმოვსკი იუწყებიან:

მეცნიერთა ჯგუფმა, რომელიც მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაში ნაკლებად განვითარებული რაიონების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის გამოყენების საკითხებზე, წამოაყენა წინადადება შეიმუშაონ „მსოფლიოს მეცნიერთა ჟენევის დეკლარაცია“ და გაუგზავნონ ეს დოკუმენტი 18 სახელმწიფოს კომიტეტს, რომლის სხდომებიც ახლა მიმდინარეობს ჟენევაში ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ კონფერენციის მონაწილენი. დეკლარაციის ტექსტი შემუშავებულია და დაიწყო ხელის მოწერის შეგროვება ამ დოკუმენტისათვის. ქვემოთ მოგვყავს დეკლარაციის ტექსტი:

მსოფლიოს მეცნიერთა ჟენევის დეკლარაცია

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერი მეცნიერები, რომელნიც სხვადასხვა ქვეყნიდან შევეკრიბენით ჟენევაში, რათა მონაწილეობა მიგვეღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციაში ნაკლებად განვითარებული რაიონების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის გამოყენების საკითხებზე,

ვხედავთ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის არაჩვეულებრივი პროგრესის მიუხედავად, რაც მიღწეულია უკანასკნელ ათწლეულებში, კაცობრიობის დაახლოებით ორი მესამედი ჯერ კიდევ იტანჯება შიმშილის, ცუდი კვების, ეპიდემიების გამო, რის თავიდან აცილებაც შესაძლებელია, იტანჯება უწიგნურობისა და გაჭირვების გამო,

მიგვაჩნია, რომ ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად საჭიროა უდიდესი საერთაშორისო ღონისძიებანი თანამშრომლობის სულისკვეთებით, აგრეთვე ვითვალისწინებთ, რომ ასეთ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო იქნება თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უპრეცედენტო მობილიზება პროგრესის მისაღწევად ნაკლებად განვითარებულ რაიონებში,

აღვნიშნავთ, რომ უფრო მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა, ამასთანავე დახმარების ახლანდელი ოდენობის მნიშვნელოვანი გადიდება ხელს შეუწყობდა ამ მიზნების მიღწევას,

ვფიქრობთ, რომ ამ მიზნისათვის სახსრების გამოყოფა მეტად შეზღუდულია იმის გამო, რომ მთელ მსოფლიოში ამაოდ იხარჯება უზარმაზარი სახსრები შეიარაღებისათვის,

მიგვაჩნია, რომ განიარაღება, აგრეთვე ეკონომიური და სოციალური განვითარება ორი ყველაზე დიდი პრობლემაა, რომლებიც დგას კაცობრიობის წინაშე,

ვხელმძღვანელობთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-17 სესიაზე 1962 წლის დეკემბერში ერთხმად მიღებული რეზოლუციით, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა მშვიდობის მიზნებისათვის გამოიყენონ განიარაღების შედეგად განთავისუფლებული რესურსები,

გვსურს როგორც მეცნიერთა საერთაშორისო გაერთიანების წევრებს:

1) გამოვთქვათ რწმენა, რომ ხალხებმა უნდა იხმარონ ყოველი ღონე საყოველთაო და სრული განიარაღების მისაღწევად;

2) გამოიყენონ შესაძლებლობა, რომელიც შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ ჟენევაში განახლდა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობა და საქვეყნოდ მოუწოდონ ამ მოლაპარაკების მონაწილეებს სასწრაფოდ მიაღწიონ შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ და რაც შეიძლება მალე შეთანხმდნენ ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაკვირვებულ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, გაათავისუფლონ ამრიგად რესურსები, რაც მეტად სჭიროა კაცობრიობის ეკონომიური და სოციალური განვითარების დიდი კონსტრუქციული ამოცანის განსახორციელებლად მშვიდობის პირობებში.

დეკლარაციას უკვე მოაწერა ხელი 200 მეცნიერმა, მათ შორის საბჭოთა აკადემიკოსმა ე. კ. ფედოროვმა, ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ფ. კუბარევიჩმა, რუმინელმა აკადემიკოსმა ვ. მალინსკიმ, ბრაზილიელმა პროფესორმა ჟოზუე დე კასტრომ, ავსტრალიელმა პროფესორმა კეზიმ, ჩეხოსლოვაკიელმა პროფესორმა იოზეფ ლუჟაშმა, დოქტორმა უოლტ მაკდერმოტმა (ამერიკის შეერთებული შტატები)...

საკდესის კორესპონდენტებმა სთხოვეს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ცნობილ ხელმძღვანელ მოღვაწეს ინგლისელ პროფესორს ჯ. ბერნალს, რომელიც კონფერენციას ესწრება როგორც მეთვალყურე, დაეხასიათებინა კონფერენციის მონაწილეთა ეს ინიციატივა. „მე მიმაჩნია, — თქვა ჯ. ბერნალმა, — **რომ ეს შესანიშნავი ინიციატივაა. მას დიდი კმაყოფილებით აღიქვამს დედამიწის ყველა ადამიანი, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ინიციატივა ეკუთვნის ისეთ წარმომადგენლობითს კონფერენციას, როგორიც არის ეს კონფერენცია, რომელიც ისახავს კეთილშობილურ ამოცანებს — მეცნიერულ-ტექნიკური დახმარება გაეწიოს ხუსტად განვითარებულ ქვეყნებს“.**

პრეზიდენტ კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 15 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი მ. ხალათელიანი იუწყება:

გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ დიდი ყურადღება დაუთმო ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობას, აგრეთვე ამერიკის პოლიტიკის პერსპექტივებს დასავლეთ ევროპაში.

კენედიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებენ განახორციელონ რაიმე ეკონომიური ან პოლიტიკური კონტროლონისძიებანი საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის წინააღმდეგ იმ პოზიციისთან დაკავშირებით, რომელიც მან დაიკავა ნატოსა და ევროპის „საერთო ბაზრის“ საკითხებში.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ შეერთებული შტატები მზად იქნებიან განიხილონ წინადადება — შეიქმნას აღმასრულებელი კომიტეტი ნატოს საბჭოს შიგნით ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც ექნება უფლება ხმის უმრავლესობით გადაწყვიტოს ნატოს მიერ ატომური იარაღის გამოყენების საკითხი. ასეთი წინადადება, როგორც ცნობილია, წამოაყენა რამოდენიმე ხნის წინათ ევროპაში განლაგებული ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა გენერალმა ნორსტედმა. კენედიმ, კერძოდ, თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად იქნებიან განიხილონ ნორსტედის გეგმა, თუ საფრანგეთი თანახმა იქნება განიხილოს საკითხი ნატოში ეგრეთწოდებული „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის შესახებ, აგრეთვე თუ ევროპის ქვეყნები დათანხმდებიან უფლება მიანიჭონ „გენერალ დე გოლს ან ინგლისის პრემიერ-მინისტრს მაკმილანს“ დაიცვან მათი ინტერესები ნატოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მაგრამ, კენედიმ ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ატომური იარაღის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხი „უაღრესად რთულია“ იმის გამო, რომ შესაძლოა ბარ დარჩეს დრო დასავლეთის სახელმწიფოებს მთავრობათა კონსულტაციებისათვის და ამიტომ საბოლოო ანგარიშით უნდა გადაიშალოს ერთპიროვნულად. ამასთან კენედიმ გარკვევით განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ დაიტოვონ უფლება „თითი დაიჭირონ კნოპს“.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ

პეკინი, 15 თებერვალი, (საკდესი). ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო დღეს კამბოჯის სახელმწიფოს მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი და მისი თანმხლები პირები. მაო ძე-დუნსა და ნოროდომ სიანუკს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. სინხუას საგენტო იუწყება, რომ ჩინეთის მხრივ საუბარს დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი და სხვა ოფიციალური პირები.

თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა საღამოს გამართა პრინც ნოროდომ სიანუკის და სხვა სპატიო კამბოჯელი სტუმრების პატივსაცემად.

ᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲐᲙᲐᲡᲨᲘ

ნიუ-იორკი, 15 თებერვალი. (საკდესი). როგორც ვენესუელის დედაქალაქიდან იუწყებიან, კარაკასისა და ამ ქალაქის მუშათა გარეუბნების ქუჩებში წარმოებს ბრძოლები პოლიციასა და მარიოტთა ჯგუფებს შორის, რომლებიც იბრძვიან რომელო ბეტანკურის მთავრობის წინააღმდეგ. გუშინ პოლიციამ ტყვიამფრქვევები გამოიყენა მუშებისა და სტუდენტების წინააღმდეგ, რომლებიც შეიარაღებული არიან მხოლოდ თვითნაკეთი ბომბებით, სწვავი სითხიანი ბოთლებითა და ქვებით.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲔᲠᲐᲧᲨᲘ

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბეარუთიდან იუწყება.

ლიბანის გაზეთმა „დეილი სტარმა“ დაბეჭდა ცნობა: ბაღდადის ახალმა მთავრობამ დაამტკიცა თვალსაჩინო ერაყელი კომუნისტი ამდელ კადერ ისმაილ ბუსტანი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაშიმ ჯავადი და ამდელ ქერიმ უასემის ძმა.

აჯანყებულები ცდილობენ გამოარკვიონ, თუ სად იმყოფებიან კომუნისტი სტუდენტები და სამოქალაქო მოსამსახურე კომუნისტები, რომლებიც, ცხადია, იმალებიან, და გასცეს განკარგულება დაითხოვონ ყველა, ვინც არ დაბრუნდება მეცადინეობაზე ან სამუშაოზე სამ დღეში.

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბაღდადიდან იუწყება, 13 თებერვალს საღამოს ბაღდადის ქუჩებში კვლავ განახლდა სროლა, ხოლო დღეს დილაადრიან შეწყდა. თვითმხილველთა ცნობით, წერს კორესპონდენტი, სროლა მიმდინარეობდა ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, კერძოდ, ცენტრალური ტელეგრაფის შენობის მახლობლად და ატაბრიიოს მოედანზე. მთელი ღამის განმავლობაში გაისმოდა თოფისა და ქვემების სროლა.

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საკდესი). „ბაღდადის ერთ-ერთი დიდი საიდუმლოება, — იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი უებ მაკინდი, — ის არის, თუ ნამდვილად ვინ ხელმძღვანელობს ამჟამად ერაყს. ნომინალურად ახალ მთავრობას, რომელმაც ჩამოავდო ყასემი, ხელმძღვანელობს პრეზიდენტი არეფი, 42 წლის პოლკოვნიკი, რომელმაც ყასემთან ერთად 1958 წელს დაამხო ერაყის მონარქია.

მაგრამ აქ მიაჩნიათ, რომ მისი ხელისუფლება, ალბათ მნიშვნელოვანწილად ნომინალურია. მას მხარს უჭერენ ბაასის „არაბთა აღორძინების სოციალისტური პარტიის“ ახალგაზრდა წევრები. თუ ვინ არიან ეს ადამიანები ზუსტად არ არის დადგენილი.

ერაყის ახალი პრემიერი ბრიგადის გენერალი ამმედ ბეჭრი, პრემიერის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი სალეჰ საადი და საგარეო საქმეთა მინისტრი თალებ შაბიბი ცნობილი არიან როგორც წამყვანი ბაასისტები“.



პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ნავთობსადენ „მეგობრობის“ პოლონეთის ნაწილის სიგრძე 700 კილომეტრი იქნება. მთელი ტრასის გაყოლებით აშენდება სატუმბავი სადგურები და სპეციალური რეზერვუარები ნავთობისათვის.

ᲔᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მდინარე ვისლაზე ხიდის აგება ნავთობსადენ „მეგობრობისათვის“.

ფოტო ცაფ-სკდესისა.

ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, 15 თებერვალი, (საკდესი). სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასად მაჰასენმა განაცხადა, რომ სირიის მთავრობას სურს შექმნას ფედერაცია ერაყთან. როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, მაჰასენმა თქვა, რომ ეს ფედერაცია იქნება „ბირთვი პანარაბული ფედერაციისა, რომელშიც შევა ყველა არაბთა ქვეყანა“.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲒᲘᲜᲔᲑᲡ

□ ამას წინათ სსრ კავშირიდან ავსტრიაში გაიგზავნა „ზორკისა“ და „ზენიტის“ მარკის ფოტოაპარატები, რომლებზეც ავსტრიელ მყიდველთა დიდი მოთხოვნაა. გარეგნულად კარგად გაფორმებული და მაღალი ხარისხის საბჭოთა ფოტოაპარატები, წერს ვენის გაზეთი „ფოლკსშტიმე“, აფართოებს მყიდველთა წრეს.

□ ლუარის დეპარტამენტში (საფრანგეთი) დაიმსხვრა საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების რეაქტიული თვითმფრინავი. ეკიპაჟის ორი წევრი გადარჩა. თვითმფრინავი ჩამოვარდა 80 მეტრზე საცხოვრებელი სახლიდან.

□ არეის გამოხდა უდიდესი ბიზნესი გახდა შეერთებულ შტატებში, განაცხადა ნიუ-იორკ შტატის წარმომადგენელთა პალატის წევრმა სელერმა. კონგრესმენმა მოითხოვა გააძლიერონ ბრძოლა არყის მხდელთა წინააღმდეგ. ამასთანავე აღნიშნა, რომ ზარალი, რომელიც მთავრობას მოსდის სპირტიანი სასმელების ფარულად გაყიდვის გამო, ერთ მილიარდ დოლარს აღწევს წელიწადში.

□ ვაშინგტონის პოლიციის სამმართველოს ცნობებით, მიმდინარე წლის იანვარში სერიოზულ დანაშაულთა რიცხვი ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში 17,4 პროცენტით გაიზარდა გასული წლის შესაბამეს პერიოდთან შედარებით.

□ მადრიდის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო ესპანელ დემოკრატთა ჯგუფის გასამართლება. ბრალდებულთა სკამზე არის 32 ესპანელი — სახალხო განთავისუფლების ფრონტის წევრები. მათ წაყენებული აქვთ ბრალდება, რომ გაფიცვები მოაწყეს გასული წლის მაისში, აგრეთვე, რომ მონაწილეობდნენ ეგრეთწოდებულ „სამხედრო ამბოხებაში“.

ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲠᲘᲙᲔᲑᲘ

პარიზი, 14 თებერვალი, (საკდესი). გაუქმდა დეპუტატ ჟილბერტა როკას არჩევნები ჰარის დეპარტამენტში. ჟილბერტა როკა კომუნისტია. არჩევნების მეორე ტურში, რომელიც 1962 წლის ნოემბერში გაიმართა, მან დაამარცხა ორი რეაქციონერი კანდიდატი (ერთ-ერთი მათგანი დეგოლელი). არჩევნები გაუქმდა საკონსტიტუციო სამბჭოს გადაწყვეტილებით.

Ჯ. ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲘᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ

ლონდონი, 15 თებერვალი, (საკდესი). ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერად ჰიუ გეიტსკელის ნაცვლად, რომელიც იანვარში გარდაიცვალა, გუშინ აირჩიეს პარტიის ეროვნული აღმასკომის წევრი ჰაროლდ ვილსონი. ჰაროლდ ვილსონი — ყოფილი ვაჭრობის მინისტრი ომისშემდგომ ლეიბორისტულ მთავრობაში, ახლა საგარეო საქმეთა მინისტრია „სათადარიგო მინისტრთა კაბინეტში“.

ჰაროლდ ვილსონი ყველაზე ახალგაზრდაა (იგი 46 წლისაა) წინამორბედებთან შედარებით, რომლებსაც ლეიბორისტული პარტიის ლიდერის პოსტი ეკავათ. იგი ლეიბორისტული პარტიის მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელია.

ნიუ-იორკი, 14 თებერვალი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება: ტაივანში მოხდა მეორე მიწისძვრა — პირველი მიწისძვრიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ. როგორც გუშინ, მიწისქვეშა ბიძგები აღნიშნულია ქალაქ ტაიბეესა და მის მიდამოებში, მაგრამ ეს ბიძგები ბევრად უფრო სუსტია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲢᲐᲘᲕᲐᲜᲨᲘ

დაზუსტებული მონაცემებით, გუშინ მიწისძვრის შედეგად დაიღუპა ოთხი და სერიოზულად დაშავდა თვრამეტი კაცი.

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ბონი, 14 თებერვალი. (საკდესის კორ.). ვ. ივანოვი იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჰილპატრიკმა დაამთავრა მოლაპარაკება ბონში კანცლერ ადენაუერთან, საგარეო საქმეთა მინისტრ შრედერთან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრ ფონ ჰასელთან.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა იმ ნიშნით, რომ ბონი ისწრაფოდა უშუალო მონაწილეობა მიეღო ეგრეთწოდებული „ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნის გეგმების განხორციელებაში. გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ წერს, რომ თათბირის მსვლელობაში გერმანიის მხარე დაჟინებით მოითხოვდა ამ გეგმების დაჩქარებით განხორციელებას, როგორც გაზეთი „გენერალ-ანეიგერი“ აღნიშნავს, ჰილპატრიკმა აშკარად განაცხადა, რომ „ატომური იარაღის გამოყენების საკითხთა გადაჭრაში მონაწილეობა არ ათავისუფლებს მათ იმ ვალდებულებებისაგან, რომ გაზარდონ აგრეთვე ჩვეულებრივი სამხედრო ძალიერება“.

ბონში განხილული მეორე პრობლემაა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის სამხედრო თანამშრომლობა.

დასასრულ, როგორც ბონის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, მოლაპარაკების შედეგად ჰილპატრიკს შეპირდნენ, რომ ბონის თავდაცვის სამინისტრო წინანდელი მოცულობით შეისყიდის ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო საჰურეველს.

ᲛᲔᲖᲕᲔᲓᲠᲐ ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ

პეკინი, 15 თებერვალი, (საკდესი). ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო დღეს კამბოჯის სახელმწიფოს მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი და მისი თანმხლები პირები. მაო ძე-დუნსა და ნოროდომ სიანუკს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. სინხუას საგენტო იუწყება, რომ ჩინეთის მხრივ საუბარს დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი და სხვა ოფიციალური პირები.

თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა საღამოს გამართა პრინც ნოროდომ სიანუკის და სხვა სპატიო კამბოჯელი სტუმრების პატივსაცემად.

ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲚᲓᲐᲓᲨᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 14 თებერვალი, (საკდესი). როგორც მენის საგენტოს ერაყელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს ბაღდადში დაპატიმრეს აზიზ შერიფი.

აზიზ შერიფი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე და მშვიდობისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილეა. მთელი რიგი წლების მანძილზე იგი იყო ერაყის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი. 1960 წელს მას მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲖᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲛᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲒᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ჩქარი სიარულისაგან აქლოშინებული პახოლჩიკოვი მაგიდას მიუჯდა და თვალი გადაავლო ზედ დაყრილ ქაღალდებსა და საქაღალდეებს.

— დღეს საძაგელი დღე მაქვს, — თქვა მან. — იმდენი მნიშვნელოვანი საქმე დაგროვდა, რომ არც კი ვიცი რით დავიწყო.

— რაღას აყოვნებ, მალე შეუდექი მუშაობას, — თავაზიანად უთხრა კოლეგამ.

— სწორია, — დაეთანხმა იგი, სასწრაფოდ მოჩხრიკა ჩანთა და დაიწყო ტუჩების შეღებვა. შემდეგ მოულოდნელად მიატოვა საქმე, საჩქაროდ ეცა ტელეფონს და ნომერი აკრიფა.

— დიდი მაგდა ხარ? არა? უკაცრავად. ესეც ტელეფონია, რა! — წამოიძახა ნერვიულად, — კაცი ვერასოდეს ვერ ეღირსება უცებ დაკავშირებას.

მან საწერ მანქანაში ჩადო ქაღალდი და ერთი წუთის განმავლობაში გატრუნული ბეჭდავდა. „გიკოცნი წვერს და ვფლი პასუხს“ — დაამთავრა წერილი.

— კარგი საქმეა, — ამოიოხრა ქალმა, — საფოსტო მარკებიც კი არ არის. საჭიროა ხელმძღვანელობასთან ითქვას, თუ როგორ გვამარაგებენ.

ტელეფონი კვლავ ამუშავდა.

— ალო, სამრეცხაოა? მინდოდა გამეგო თეთრეული მზად ხომ არ არის? არ არისო? რა უმსგავსობაა! მოამზადეთ საჩივრის წიგნაკი!

— 200 ზლოტს ვერ მასესხებ?—მიუბრუნდა კოლეგას.

— რას ამბობ, გროშიც არ მიგდია.

— იქნებ იაძის აქვს? — ჩაილაპარაკა მან და მეზობელ ოთახში გავარდა.

ანერვიულებული დაბრუნდა პახოლჩიკოვი.

— წარმოგიდგენია, იმასაც არა აქვს, აღარ ვიცი ახლა, რა უნდა ვქნა?

პახოლჩიკოვი ოთხ საათამდე კიდევ რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას ცდილობდა. მუშაობის დამთავრების უკანასკნელ წუთებში მასთან მეზობელი განყოფილებიდან მეგობარმა ქალმა შეირბინა.

— დღემ როგორ ჩაიარა?

— ეჰ, უმჯობესია არა მკითხო. დღეს დღე კი არა, ნამდვილი კომმარი იყო. აბსოლუტურად ვერაფერი ვერ გავაკეთე.

ᲕᲔᲚᲘᲥᲡ ᲓᲔᲠᲔᲪᲙᲘ.
პოლონეთი

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

— მე მინდოდა გამეგო, რა ბედი ეწია ჩემს განცხადებას, ბინის თაობაზე რომ შემოვიტანე.
— ნუ სწუხხართ, არაფერი დაშავებია.

ᲠᲝᲪᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲝᲒᲔᲜ...

ᲛᲣᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲡᲚᲣᲛᲐᲜ.

ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ.
ჟურნალები „ვიეტნამი“, „შპილკი“, „სოციალისტიჩესკაია ჩეხოსლოვაკია“.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲐᲖᲔᲓᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

ბელგრადი, 14 თებერვალი. (საკდესი). „პრესა, ყოველდღიური და სხვა გაზეთები უნდა ემსახურებოდნენ ჩვენი სოციალისტური ადამიანის ჩამოყალიბებას, ჩვენი სოციალისტური ურთიერთობის განვითარებას. პრესა რომ ამ დანიშ

„კომუნისტის“ პუბლიკაცია

ფირფიტანის ერთი უცნობი პორტრეტი

ამ რამდენიმე ხნის წინათ მხატვარ შალვა ქიქოძის არქივში შემორჩენილი მასალების გადათვალიერებისას ყურადღება მიიპყრო მხატვრის მიერ უბის წიგნაკში სახელდახელოდ შესრულებულმა ერთი და იგივე პიროვნების ორმა ჩანახატმა სახის ნაცნობი ნაკვთებითა და მოყვანილობით. ჩანახატები გაკეთებულია ფანქრით. თავისუფალი შტრიხები და სახის დეტალების დამუშავება მოწმობს, რომ იგი საკმაოდ გამოცდილი მხატვრის ხელს ეკუთვნის.

აშკარად ჩანს, რომ ეს ფირფიტანის პორტრეტია. მაგრამ როდის შეიძლებოდა შეხვედროდა შ. ქიქოძე ფირფიტანიშვილს პირისპირ ისე, რომ შესაძლებლობა ჰქონოდა ამ უკანასკნელის ჩანახატი გაეკეთებინა? ვფიქრობთ ეს მოხდა 1916 წელს, როდესაც ახლად დაარსებულმა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ სპეციალური კომისიის მეშვეობით (რომელშიც შედიოდნენ ლ. გუდიაშვილი, ი. გოგოლაშვილი, დ. შევარდნაძე, მ. თოიძე და გ. ზაზიაშვილი) მოძებნა ნიკო ფირფიტანიშვილი და მიიწვია იგი თავის საერთო სხდომაზე იმავე წლის 25 მაისს.

ლ. გუდიაშვილმა დაგვიდასტურა, რომ ამავე სხდომას ესწრებოდა მხატვარი შ. ქიქოძეც, რომელიც მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოების მუშაობაში და ამ დროისათვის შედიოდა ნაბატეევის ფრესკების შესასწავლად გაროსმანის ზემოაღნიშნული ჩანახატები.

ასე შემოგვინახა ნიკო ფირფიტანიშვილის პორტრეტი მხატვრის მადლიანმა ხელმა, მხატვრისა, რომელიც სრულიად ახალგაზრდა (27 წლის ასაკში) გარდაცვალა, მაგრამ მიუხედავად თავისი ხანმოკლე სიცოცხლისა, ჯეროვანი კვალი დატოვა ქართული ხელოვნების ისტორიაში.

ქ. ბაგრატიშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი ქართული და საბჭოთა ხელოვნების განყოფილების გამგე.

ისტორიის ფურცლებიდან • ცნობები • ფაქტები • სპორტი

ვაჟა-ფშაველას კაბინეტი უნივერსიტეტში

ვაჟა-ფშაველას დაბადების ამი წლისთავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ვაჟას კაბინეტის დაარსების შესახებ. სათანადო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, ამ ცოტა ხნის წინათ, კაბინეტი უკვე გაიხსნა. მისი ხელმძღვანელობა დაეკისრა ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორს გრ. კოკანაძეს.

„კაბინეტის მიზანია შეაგროვოს ყველა მასალა, რაც კი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხება და სათავეში ჩაუდგეს უნივერსიტეტის ღონისძიებებს დიდი ქართველი პოეტის შემოქმედების შესწავლისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. შეიძლება ითქვას, რომ კაბინეტის დანიშნულება სცილდება უნივერსიტეტის ფარგლებს, რადგან ვაჟას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები ჯერჯერობით არსად არ არის თავმოყრილი და ფართოდ წარმოდგენილი, როგორც ეს, მაგალითად, სხვა მწერალთა სახლ-მუზეუმებშია. ვაჟას სახლ-მუზეუმი ჩარგალში სამისოდ ვერ არის მოწყობილი და მოხერხებული.

ამიტომ უნივერსიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯი სავსებით სწორი და მისასალმებელია, მით უმეტეს, რომ ვაჟამ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა სწორედ უნივერსიტეტის შენობაში, სადაც იმხანად სამხედრო ლაზარეთი იყო მოთავსებული. სათანადო საექსპოზიციო მასალების დაგროვების შემდეგ ვაჟა-ფშაველას კაბინეტისათვის ნიკორაუდევია სწორედ ის ოთახი, სადაც პოეტი გარდაიცვალა.

კაბინეტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია 1963-64 წლების განმავლობაში შეგროვდეს ვაჟას შესახებ არსებული მთელი ლიტერატურა.

დაარსდა ვაჟა-ფშაველას მუდმივი სემინარი, რომელიც მოისმენს მოხსენებებსა და ინფორმაციებს პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე. ეს მოხსენებები შემდგომში კრებულად ან ცალკე წიგნად დაიბეჭდება. გამოსაცემად მზადდება აგრეთვე კრებული „ვაჟა-ფშაველა ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ“. განზრახულია მოეწყოს ექსპედიციები მწერლის შესახებ მოგონებათა შესაკრებად და მის ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილების შესასწავლად.

ვაჟას კაბინეტის ფართო მნიშვნელობის გამო მის მუშაობაში მონაწილეობენ არა მარტო უნივერსიტეტის თანამშრომლები, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობა. აღსანიშნავია, რომ კაბინეტი ძირითადად საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს. პროფესორებმა მ. ზანდუკელმა, გ. ჯიბლაძემ, აპ. მახარაძემ, დ. ბენაშვილმა, დოცენტებმა ს. ხუციშვილმა, ი. ბოცვაძემ, ჯ. ჭუმბურიძემ და სხვებმა კაბინეტს გადასცეს ვაჟას თხზულებათა სხვადასხვა გამოცემები და მის შესახებ დაწერილი გამოკვლევები. პროფესორმა ლ. მელიქსეთ-ბეგმა კაბინეტისათვის შეადგინა ბიბლიოგრაფია „ვაჟა-ფშაველა სომხურ ენაზე“.

კაბინეტის გახსნას დიდი სიხარულით შეხვდნენ ჩვენი ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი. საქართველოს სახალხო მხატვარმა ელენე ახვლediani კაბინეტს უძღვნა გრაფიკული ნაწარმოები „მთის წყარო“, საქართველოს სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა — იშვიათი ხელოვნებით შესრულებული სურათი „მინდია“. მხატვარმა ირაკლი ოჩიაურმა კაბინეტს საჩუქრად გადასცა ვაჟას დიდი პორტრეტი, ლ. ბერაძემ — „ბატლის პეიზაჟი. ილუსტრაციები, დადგმათა ესკიზები და ფოტოები კაბინეტს გადასცეს აგრეთვე თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმებმა ა. რამიშვილმა და ნ. ვაშაკიძეციციშვილმა.

ყოველივე ამის შედეგად კაბინეტის ფონდი სწრაფად მდიდრდება. იმედია, რომ ვაჟა-ფშაველას კაბინეტის დაარსებას ყველა სიხარულით შეხვდება და უცნობი მასალების ან მათ შესახებ ცნობების მიწოდებით ხელს შეუწყობს კაბინეტს თავის საპატიო ამოცანის შესრულებაში.

დოც. ზ. ჭუმბურიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ნ. ნ. ჯინჭარაძე

გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1920 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ნიკოლოზ ნესტორის ძე ჯინჭარაძე.

ნ. ჯინჭარაძე დაბადა 1893 წელს ... ბაბილ... ... ...